11 (23) მარტი, 1866.

№ 2.

პირველი წელიწადი.

გაზეთის ფასი:

ბაგზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში: — — — 6 მან.
ერთის წლისა — 7 მან.
10-ის თვისა — 6 —
ნახევრის წლისა — 4 —
სამის თვისა — 2 — 50 კ.

გაუგზავნელათ: — — — 5 —
— — — 3 — 50 კ.
— — — 2 —

ცალკე ერთის ნუმრისა გაუგზავნელათ — 3 შაური.

„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

დროება

ხელის-მოწერა მიიღება: ტფილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, ქალიშვილის და კამპ. სტამბაში, ბალავინის პროსპექტზედ, კ. ზუბალოვის სახლში. — ბაზეთზედ ხელის-მოწერა ყოველთვის მიიღება.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.

რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

ამ ნუმერში არის: მმართებლობის განკარგულება: ქანონები, ქავკასიის ნამესტნიკისაგან დაწესებული ამოსარჩევათ საერო დეპუტატებისა, რომელთაც უნდა მიიღონ მონაწილეობა ეჩმიაძინის უმთავრესის პატრიარქის ამორჩევაში. — ბაჟის აღებაზედ მოწმობებისთვის სათავადო და საზნაურო ღირსებაზედ. — მთავრობის განკარგულება. — დოღზედ. — პოლიტიკა: 1865 წლის მოკლე განხილვა. — ტელეგრამმები. სხვა და სხვა ამბავი: სტატისტიკური ცნობები ევროპაზედ. — სალიტერატურო ნაწილი: პეტერბურგიდ.მ. ფელეტონი: მათუსალას აღსარება. — სახაზინო და კერძოობითი განცხადებანი. —

მმართებლობის განკარგულებანი.

რადგანაც მოახლოვდა დრო ეჩმიაძინის პატრიარქის ამორჩევისა, და რომ ქავკასიის — აქეთის მხარის სომხებმა შეიძლონ კანონისა და სჯულის თანახმათ ამორჩევა საერო დეპუტატებისა, რომელთაც უფლება აქვთ მონაწილეობისა ამ დიდს საქმეში, და რომ არა მოხდეს რა წესის წინააღმდეგი, რომელიც, სამწუხაროთ, მოხდებოდა ხოლმე წინათ ყოფილს საერო დეპუტატების ამორჩევაში, ამისთვის მისმა იმპერატორობითის შმაღლესობამ, დიდმა მთავარმა, ქავკასიის ნამესტნიკმა ინება შემდეგის კანონების დაწესება ხელ-საძღვანელოთ:

1) თვითოეული უფროსი სომხის ეპარქიისა ქავკასიის-აქეთს მხარეში, რა კი ცნობას მიიღებს ეჩმიაძინის სინოდიდამ პატრიარქის ამორჩევაზედ, აუწყებს ამაზედ თავისს ეპარქიაში გუბერნატორს ჯეროვანის განკარგულებისათვის შესახებ ეპარქიიდამ ერთის საერო დეპუტატის ამორჩევისა, რომელმაც მონაწილეობა უნდა მიიღოს პატრიარქის ამორჩევაში.

2) ეპარქიის უფროსი თავის უწყებაში დაეფუძნება ეპარქიების განყოფაზედ, რომელიც ნაჩვენებია სომხის ეკკლესიის სასულიერო საქმეების მმართვის წეს—დებაში (ტომი XI, ნაწ. 1, თავი მეოთხე, მუხლები 962, 963, 964 და 965) და ამასთანავე დაასახელებს იმ უეზდებს და უჩასტკებს, სადაც არიან დაწესებულნი სასულიერო მმართვანი და საბლაღოჩინონი და სადაც სომხის ეკკლესიის წევრნი, რომელთაც ამ ეკკლესიის ძველის ჩვეულებით უფლება აქვთ საერო დეპუტატების ამორჩევისა, მოვალენი არიან თავიანთ შორის ამოირჩიონ წარმომადგენელნი.

3) ამ უწყების მიიღების შემდეგ ეპარქიის მთავრობისაგან გუბერნატორი მოახდენს ჯეროვანს განკარგულებას, რომ უეზდის ნაჩალნიკებმა გამოუცხადონ სომხის ეკკლესიის აღნიშნულს წევრებს, რომელნიც ადგილობრივ სცხოვრობენ და ექვემდებარებიან სასულიერო მმართვას ანუ ეპარქიებზედ დამოკიდებულს საბლაღოჩინოებს, რომ დადებულის ვადისათვის იმათ ამოირჩიონ ორ-ორი წარმომადგენელი. ესენი დანიშნულს ვადაზედ უნდა მივიდნენ იმ ეპარქიის თავ-ქალაქს, რომელსაც ეკუთვნიან და ამასთანავე იმ ქალაქის წარმომადგენელებითურთ უნდა ამოირჩიონ ერთი დეპუტატი იმ ეპარქიიდამ.

შენიშვნა. თუმცა ჭუთაისის საბლაღოჩინო არ ექვემდებარება პირდაპირ ეპარქიის მთავრობას, მაგრამ რადგანაც სომხების ეკკლესიები იმერეთში და ბურიაში შეადგენენ საქართველოს ეპარქიის ნაწილსა, ამისთვის ჭუთაისის საბლაღოჩინოს მცხოვრებთაგანაც ამოირჩევა ორი წარმომადგენელი.

4) წარმომადგენელებათ შეიძლება დაინიშნონ როგორათაც ადგილობრივის ამომრჩეველთაგანნი, აგრეთვე საეპარქიო ქალაქის მცხოვრებთაგანნი, რომელთაც უფლება აქვთ მონაწილეობისა ამორჩევაში. თუ რომ ადგილობრივის მცხოვრებლებისაგან ამორჩეულთ წარმომადგენელთ არ შეუძლიანთ საეპარქიო ქალაქს წასვლა, მაშინ ისინი გადასცემენ თავიანთს ხმას რწმუნების წერილით.

5) ამოსარჩევათ ეპარქიის თავ-ქალაქის წარმომადგენელთა, თვითოეული ეპარქიის უფროსი დათანხმებით გუბერნატორთან მისწერს ყველა ეკკლესიების დეკანოზებს იმ ქალაქისას, სადაც იმას ადგილ-სადგომი აქვს. რომ იმათ მომავალს კვირას ეკკლესიაში განცხადებით მოიწვიონ ის პირნი, რომელთაც სომხის ეკკლესიის ძველის ჩვეულებით უფლება აქვთ მონაწილეობისა საერო დეპუტატების ამორჩევაში. ამ პირთ თავიანთ შორის უნდა ამოირჩიონ წარმომადგენელნი, ამოსარჩევათ დეპუტატისა, რომელსაც ვალი აქვს მონაწილეობის მიღებისა პატრიარქის ამორჩევაში.

ამ წარმომადგენელთ ამორჩევა მოხდება შემდეგის წესით:

ა) ის პირნი, რომელთაც ძველის სომხის ეკკლესიის ჩვეულებით უფლება აქვთ მონაწილეობისა დეპუტატის ამორჩევაში, თავიანთ შორის ამოირჩევენ, თვითოეულს ეკკლესიაში, სამ-სამს წარმომადგენელს.

ბ) წარმომადგენელთ ამორჩევა უნდა შესრულდეს ან თვით ეკკლესიაში, წირვა-ლოცვისაგან თავისუფალს დროს, ან ეკკლესიის გალავანში. ის უნდა გათავდეს რვა დღის განმავლობაში, დღიდგან გამოცხადებისა.

გ) ამორჩევის შემდეგ შესდგება ამორჩევითი ფურცელი, რომელშიაც უნდა იყოს ნაჩვენები ამორჩეულთ წარმომადგენლთ სახელი და გვარი და რომელსაც ხელს მოაწერენ ამომრჩეველნი.

დ) როდესაც ამორჩევა დაბოლოვდება, დეკანოზები ამორჩევით ფურცლებს წარუდგენენ ეპარქიის უფროსებს და ესენი თავისიის მხრით გაუგზავნიან გუბერნატორებს ანუ უეზდის ნაჩალნიკებს, თუ იქ გუბერნატორები არ არიან.

ე) შეთანხმებით გუბერნატორთან ანუ უეზდის ნაჩალნიკთან დაინიშნება დრო და ადგილი ეპარქიის თავ-ქალაქში, სადაც წარმომადგენელნი უნდა შეიყარნენ.

ვ) დანიშნულს დროს და ადგილს ყველა ამორჩეულნი წარმომადგენელნი შეიყრებიან დეპუტატების ამოსარჩევათ ეპარქიიდგან. ამ შეყრილობას ექნება ნამდვილი ძალა, თუ რომ იმაში ორი მესამედი ნაწილია წარმომადგენლებისა, იმ პირების შერიცხვითაც, რომელთაც აქვთ რწმუნების წერილები.

ზ) წარმომადგენელნი დაასახლებენ კანდიდატებს კენჭის-ყრით, მაგრამ ამაზედ თანახმობაც უნდა იყოს იმათი, ვისაც ირჩევენ.

თ) კენჭის-ყრის შემდეგ, ვინც რომ მომატებულს კენჭს მიიღებს, ის დაინიშნება იმ ეპარქიის დეპუტატათ, სადაცა ამორჩევა მოხდა; ვინც იმათ შემდეგ მომატებული კენჭი მიიღო, ის დაინიშნება კანდიდატათ, რომ შეეძლოს დეპუტატის მოადგილეობა, თუ ვინიცობაა ის ავათ გახდა ან მოკვდა.

ი) წარმომადგენელების ყრილობაში, ამორჩევის დროს, წესის დასაცველათ იმყოფება ჩინოვნიკი, მმართველობისაგან დანიშნული.

ია) ყველა ეპარქიიდამ ამორჩეული საერო დეპუტატები უნდა გაემგზავრონ, დადებულის დროსთვის, ეჩმიაძინის მონასტერს, რომ იქ მონაწილეობა მიიღონ მთელის სომხობის პატრიარქისა და ქათალიკოზის ამორჩევაში.

იბ) თუ ვინიცობაა ამ დეპუტატებმა ვერ შეიძლეს ეჩმიაძინის მონასტერს მისვლა პატრიარქის ამოსარჩევათ, წინათ-დანიშნულს ვადაზედ, იმათ სჯული ნებას აძლევს, რომ წერილით წარმოსთქვან თავიანთი აზრი და გაგზავნონ ისა ეჩმიაძინის მონასტერს.

ფელეტონი.

მათუსალას აღსარება.

ცხოვრების წყაროთი განახლებული თქვენი ბერი მათუსალა ვისწრაფი ხელმეორეთ მოგცე სალამი, მკითხველო! „კარგი გამარჯვება“!— ღმერთმან გადღეგრძელოს—შემომაგებებ, განა არ ვიცი შენის გულ-კეთილობისაგან! მაგრამ მე კი, სწორე მოგახსენო, არაფრათ მეჯაშნიკა შენი მაგისთანა მოლოცვა. ნოედგან აქამომდე სულ ვდღეგრძელობ, მაგრამ მეტი შენს მტერს ნურა კეთილი დაყრია, რაც ტანჯვის მეტი ჯერ არა გამომეცადნოს რა... მჰ, დღეგრძელი!... რა დღეგრძელია ქვა, რომ იცოდე, მკითხველო!... ბუნების მეძიებლები ამტკიცებენ, ვითომც ოდესმე ჩვენი დედა-მიწა სიცხისაგამო ტყეიასავით გალხვალი ყოფილიყოს და რაკი იმდენათ გაცივებულა, რომ სიპი ქვის აბკი გარს შემოუკრავს, მას უკან ქვა სულ დღეგრძელებს, მაგრამ ამითი ნამცეცი შინაგანი კეთილ-მდგომარეობა იმას არ შემატებია. ბრალიანს და უბრალოს სულ ქვა დაუბრიყვებია. მიარახუნებს თუ არა დროშკა, იმისმა ბორბლებმა მაინც სკმეით ქვას ნაპერწკლები უნდა გააყრევინონ. მიიაჭენებს თუ არა ცხენი, უეჭველია ქვაზედ იმისმა ტოროებმა ჭრაგი-ბრუგი უნდა აუყენოს. ვისაც კედელში ლურსმის შერჭობა უნდა მიუცილებლათ, თუ ჩაქუჩი არაქვს, ქვას გვერდები უნდა შეალეწოს. ვისაც უნდა ციხე ააშენოს, იმან პირველათ კლდე ნაღმით უნდა დაარღვიოს და მერმე საცოდავი ქვის ლოდები გავარვალებულს საკირეში უნდა კირათ დაანაცროს. მეტი სიუბედურე რაღა იქნება, რომ ყმაწვილის საბურთალოთაც ქვას ქვისთვის თავი უნდა ასკმევინონ. ამისთანა დღეგრძელობას, ჯარაპეტასი არ იყოს, მეტი ბედოვლათი დღეგრძელობა მიქვია. ამისთანა დღეგრძელობა, მკითხველო, ნურც შენ მოგცეს ღმერთმან, მაგრამ ეს ჩემი, მოძმე მათუსალები ამ უკანასკნელს დროში დღეგრძელობისგან ისე მოიკრუნჩხნენ, რომ კაკლის ხეჭრჭში ჩასატევი გამხდარან; მერე თუ მართლა, ერთის ზღაპრისა არ იყოს, კაკლის ხეჭუჭშიაც ჩასხდნენ! თქვენი მტერი, ბევრი აღარა ეკლებათ რა გაქვავებას! ნამეტნავა მე რომ ამერიკანული კაკლის ხეჭუჭი ვიცი, მგონია სიმაგრით ქვას აჯობოს! ამ გვარის ხეჭუჭით გზების მოკირწყვლაც ძალიან შნოიანი და სუფთა იქნება. ამ გვარის კენჭებით მოკირწყლულს ქუჩებზედ ძალიან რბილათ უნდა ირიხინოს რესორიანმა კარეტებმა. რა საკვირველია ამისთანა რახარუხის ხმა მაშინ აღარ იქნება, როგორც ახლა რიყის ქვებზედ არის. ერთს ახლანდელს მეცნიერთაგანს კიდეც უქადაგნია, ვითომც ის ჟამიც შორს აღარ არისო, როდესაც ზემოხსენებული ქვა შენობებისათვის მოიხმარებაო!.. მართლა, მეცნიერებზედ მომაგონდა... ახლანდელს დროში ჩვენს საქართველოში და ნამეტნავათ ტფილისში მეცნიერები ისე გამრავლდნენ, როგორც მტკვრის ქვიშა. მხოლოთ ერთი რამ წვლილი ნაკლულევანება სჭირთ ამ მეცნიერებს, თორემ სხვებრ ყოველათ შემკობილნი არიან, ვითარცა ხუცესი უხუცესობისა ქვეყანასა შინა. ეს წვლილი იმათი ნაკლულევანება არის ხშირათ სიცრუვის ლაპარაკი. თუ რომ დღეში ერთხელ მაინც არ იცრუეს, იტყვიან: „ის დღე უქმათ ჩაელილია განათლებისათვისო“. ამ გვარი იმათი წვლილი ნაკლულევანება წარმომდგარა ერთის კიდევ უწვლილესის იმათის ნაკლულევანებისაგან: ისინი არიან საკვირველი თაფლის მოყვარული ფუტკრები, ასე რომ თუ თაფლს დაპირდი, შრომასაც გადაიხდიან ხოლმე და თუკი შენთვის საამურათ დარჩება, დღეს ღამეთ მოგაჩვენებენ; თუ რომ თაფლს არ დაპირდი, ტყუილათ ნუ იფიქრებ, რომ ხელი უბრალოთაც გაანძრიონ; თითქმის ტყუილის თვისაც ენას არ მოაბრუნებენ. ახლანდელს დროში თაფლი მეტი რამ საუნჯე შეიქნა. ამბობენ, თაფლით შეიძლებაო სამართლის მოპოვება, თაფლით შეიძლებაო რისხვის თავიდგან მოშორება, თაფლით შეიძლებაო ჯოჯოხეთიდგან სამოთხეშიაც შესვლა, თაფლით ვინ იცის კაცი რას არ იზამსო. თუ კი პირზედ მოსაცხებელი თაფლი მაქვს ბლომათ, რომელი ჭართველიც უნდა დამისახელო, იმ ჭართველს ჩავაცმევ ყორნის ტანთ-საცმელს და ყორანსავითაც ვაყივლებ. ამ ცოტას ხანში ერთი იმ მეცნიერებთაგანი, რომელთაც თაფლზედ ფუთკარსავით მუსუსი მოსდით ყოფილა ერთს მშვენიერს და მდიდარს ჰალაში მდებარეს ქალაქში. მიუხედ-მოუხედავს და სერზედ ციხის ნანგრევი დაუნახავს. ამ ციხის კედელი ღორის ზურგისთვის შეუდარებია. მემრე გამოუკითხავს ქალაქის სახელი და შეუტყვია, რომ ქალაქს სახელათ ბორი რქმევია. აქედგან იმ წამსვე გამოუყვანია: „უთუოთ ქალაქს ღორი უნდა რქმეოდაო, მაგრამ რადგანაც ფილოლოგიურის წესით ასო ღ ხშირათ შეიცვლებაო, ამისთვის თვით მცხოვრებლებსაც ღორის მაგიერათ ქალაქისათვის ბორი დაურქმევიათო“ ამაზედ არის ერთი ლათინური ანდაზა. . . . . .ამისთანა ამბების გამორკვევაც შემდეგაც ბევრჯერ მოგვიხდება ხოლმე, თუ ვიცოცხლეთ და სიზარმაცის დირე თავს კი-

ბაჟის აღებაზედ მოწმობების ათვის, რომელთაც შეამზადებს ტფილისის საკეთილშობილო დეპუტატთ შეკრებილებასათავადო და სააზნაურო ღირსებაზედ. 6 დეკემბერს 1850 წ. უმაღლესათ დამტკიცებულის დამატებითის კანონებით ტფილისის და ქუთაისის საკეთილშობილო დეპუტატთ შეკრებილებების მოქმედებისათვის, იმათ ვალათ დაედვა განსაკუთრებითის წესით განხილვა საქმეებისა, რომელნიც არ შეუსრულებია ყოფილს დროებითს კამისიებს, დანიშნულნი რომ იყვნენ ცნობაში მოსაყვანათ საზოგადოთ ყველა პირთა, რომელნიც სათავადო და სააზნაურო გვარებს შეადგენდნენ ქართლში, კახეთში, იმერეთში და ბურიაში, და აგრეთვე შემზადება და მიცემა მოწმობებისა იმ პირთ, ვინც დამტკიცებული იქნება სათავადო თუ სააზნაურო ღირსებაში.

ახლა ხელმწიფე იმპერატორმა, უმთავრესის კავკასიის-აქეთის მმართველობის წარდგენისა და კავკასიის კომიტეტის დადებულების თანახმათ 6 დეკემბერს 1865 წ. უმაღლესათ ბრძანა: ტფილისის საკეთილშობილო დეპუტატთ შეკრებილებისაგან შემზადებულის მოწმობებისათვის იმ პირთ სახელზედ, რომელნიც არიან დამტკიცებულნი სათავადო თუ სააზნაურო ღირსებაში, ზემოთ მოხსენებულის დამატებითის კანონების ძალით გამოერთვას ბაჟი საკეთილშობილო ხაზინაში შესატანათ: თავადს—სამ-სამი და აზნაურს ორ-ორი თუმანი, ესე იგი, იმავე ზომით, რომლითაც ბაჟი გამოერთმევა მოწმობებისთვის, რომელთაც შეამზადებდა ყოფილი დროებითი ტფილისის საკეთილშობილო კამისია და რომელთაც მისცემს ხოლმე ტფილისის საკეთილშობილო დეპუტატთ შეკრებილება.

დღეზედ. კავკასიაზედ დოღის უმთავრესის კამიტეტის განკარგულებით მომავალის აპრილის პირველს რიცხვებში ტფილისში მოხდება დოღი იმპერატორის პრიზზედ.

მთავრობის განკარგულება.

უფროსი მასწავლებელი ქუთაისის გიმნაზიისა, კოლლეჟსკი სოვეტნიკი ბალაევი დაითხოვება ახლანდელის თავისისთანამედებობისაგან და სასწავლებელის უწყების სამსახურიდამ, რადგანაც ქუთაისის გუბერნიის საგლეხო საქმეების სასამართლოში დაინიშნა სეკრეტარათ 7 თებერვლიდამ.—ოზურგეთის უეზდის ექიმის უფროსი მოწაფე სოფრონ ხუნდაძე დაითხოვება სამსახურიდამ 18 დეკემბრიდამ, 1965 წ.—იმის ადგილზედ დაინიშნება ქუთაისის გიმნაზიის პანსიონის საავათმყოფოს ზედამხედველი ანტონ არონიშიძე.

პოლიტიკა.

1865 წლის პოლიტიკის მოკლე განხილვა, გადმოღებული Русскій Инвалидъ' იდამ. საუბედუროთ პირველი ფიქრი წარსულს წელზედ ჩვენთვის არის დიდათ სამწუხარო. ამ წელმა მოგვტაცა ისა, ვინც იყო ჩვენი სიხარული და იმედი, რომელიც ემზადებოდა რუსეთის მომავალის ხვედრის წინ წასაძღოლათ. რუსეთის საზოგადოებამ თანაგრძნობა აღმოაჩინა პირმშო ხელმწიფის შვილის გარდაცვალებაზედ.

წარსულის წლის დამდეგს შიშიანობა მშვიდობიანობის დარღვევისა მთელს ევროპაში იყო, მაგრამ მშვიდობიანობა არ შერყეულა და მარტო, ამისთვისაც ღირსია ეს წელიწადი რომ კეთილათ იხსნებოდეს. ამას გარდა ეს წელიწადი ისტორიაშიაც შესანიშნავს ადგილს დაიჭერს, რადგანაც იმის განმავლობაში ყველა სახელმწიფოებს დიდი მოძრაობა მიეცა. თითქო ყველამ ერთად იგრძნო, რომ ვიდრემდის შინაგანი მშვიდობიანობა თვითოეულს ხალხში არ დამტკიცდება კეთილ საიმედოთ და ვიდრემდის საპოლიტიკო და სამოქალაქო წარმატება ყოველის სახელმწიფოისა არ დამკვიდრდება შესაფერს საფუძველზედ, მანამდის საყოველთაო მშვიდობიანობა მოუფიქრებელია. წარსული წელი იყო წელიწადი ცვლილებისა და ყოველ ნაირის გაუმჯობესობისა. საითაც მივიხედავთ ძველსა და ახალს ქვეყნებში, (*) ყოველგან ჩვენს თვალ-წინ ახლდებიან შინაგანნი საპოლიტიკო აგებულებანი. თვით შემთხვევით მოვლენილი გარემოებაც იმ რიგათ წარიმართება, რომ გგონია, ამ გვარს საქმეს მიმართულებას ეხმარებაო. მაგალითათ, ანგლიაში შინაგანის დაწყობილების შეცვლაზედ ახლა აღმოჩნდა ძლიერი მოწადინეობა პალმერსტონის სიკვდილის შემდეგ, რომელსაც თავის სიცოცხლეში სულ სხვა რიგათ მიყავდა ამ ქვეყნის საპოლიტიკო ცხოვრება. ხალხების ურთიერთობითი პოლიტიკა ეთანხმება ზემოთ ჩვენგან ნაჩვენებს მოძრაობას ყველა სახელმწიფოებისას. თუ რომ ჩვენს დროში ბევრი რამ მშვიდობიანობისათვის სასაშიშრო

(*) ევროპას, აზიას და აფრიკას ძველს ქვეყანას ეძახიან, ამერიკას და ავსტრალიას—ახალს, რადგანაც ეხლოთ რამდენიმე საუკუნეა მას აქეთ, რაც ისინი ევროპიელებმა გამოაჩინეს.

მიზეზები ასტყდება ხოლმე, ეს მიზეზები უფრო ნამეტნავათ წარმოსდგება შინაგანის დაბრკოლებისაგან, რომელსაც მმართებლობა უნდა ებრძოდეს. ამ გვარის დაბრკოლების მოსპობაზედ არის დამოკიდებული მთელის ევროპის მშვიდობიანობა.

ჩრდილოეთის ამერიკაში წარსულს წელს მოხდა იმისთანა საქმე, რომ ერთის წლის წინათ იმას არავინ არ დაიჯერებდა. ბევრს ეგონა, თუ ფედერალისტებმა (*) კავშირის გაუწყვეტლობას თავი არ დაანებეს, შინაგანი ბრძოლა საუკუნოთ უნდა გაგრძელდესო; მაგრამ იმათ არც ერთს თავის განზრახვაზედ ხელი არ აუღიათ და თავისის მოწინააღმდეგების დამოჩილებით განაკვირვეს მთელი ქვეყანა. კავშირი ისევ უწინდელს საფუძველზედ დაადგინეს, მაგრამ ეს კავშირი ახლა უწინდელზედ კიდევ უფრო ძლიერი შეიქნა, ამისთვის რომ მონაობა, რომელიც იყო სენი შეერთებულის შტატებისათვის, საუკუნოთ მოისპო. ჯერ ამ შემთხვევამდისაც ლინკოლნი უფრო მომატებულმა ხმამ ისევ ხელმეორეთ პრეზიდენტათ ამოირჩია. ის ემზადებოდა მოკრეფას თავისის ბრძნულის მოქმედებისაგან გამოღებულის ნაყოფისას და იმ დროს, როდესაც ყოველივე თავისი გონება მხოლოთ იმაზედ ქონდა მიქცეული, რომ ამ საშინელის ბრძოლის კვალიც ამოეკვეთა, ის მკვლელის ხელით საფლავს მიეცა. ამერიკის ხალხმა აქ ერთხელ კიდევ დაამტკიცა თავისი ღრმა პოლიტიკური ჭკუა. ის იყო რომ ჩხუბი გათავდა და ჯერ კიდევ მოწინააღმდეგებს იარაღიც არ დაედვათ, რომ იმათ სახელმწიფოს თავი მოუკლეს; მაგრამ ამერიკის შტატები თავის წინდადებულს განზრახვაზედ ერთის ნაბიჯითაც არ გადამხდარან. თავის შინაურობაში იმათ აღმოაჩინეს შეურყეველობა და თვით ბედიც ამათ ისე მსახურებდა, რომ ანდრუ ჯონსონი, მოწინააღმდეგე შტატების სენატორი, ლინკოლნის ღირს მემკვიდრეთ აღმოუჩნდათ. რა საკვირველია შეერთებული შტატები ბრძოლისაგან ძალიან საქმე დახლართულნი გამოვიდნენ; ამას გვიმტკიცებს იმათი ვალი 15 მილლიარდს დოლლარამდის (**) შესული; მაგრამ ამით უფრო სამაგალითოა იმათი გასაოცარი მეცადინეობა ამ ნაირს წყლულის გასაკურნებლათ.

(*) ფედერალისტებს ეძახიან იმათ, რომელთაც სურთ შეურყეველათ დაიცვან ამერიკის შეერთებულის შტატების კავშირი.

(**) დოლლარი—1 მანეთი და 33 კაპეიკი არის.

პრეზიდენტი ჯონსონი შეექნა წარმოგენელი ძალიან ზომიერის პოლიტიკისა. ეს პირობანი, რომელნიც იმან წინადაუდვა დამორჩილებულს შტატებს ხელ-ახლა კავშირში შემოსასვლელათ, არაოდეს არ დარჩება იმათთვის სამძიმოთ. შეჰველია ეს პირობები სამხრეთის შტატებმა უნდა მიიღონ, ამისთვის რომ ჩრდილოელებისაგან აღმოჩენილი ენერგია იმათ ცხადათ დაანახვებდა, რომ ისინი არაოდეს არ მისცემენ ნებას, რომ ერთმა ნაწილმა მცხოვრებლებისამ დააპიროს ერთობისა და სახელმწიფოს სიმრთელისათვის წინააღმდეგი განზრახვა. ამას შემდეგ შეერთებულს შტატებს ვალი აქვთ იზრუნონ რამდენსამე მილლიონს მონებისაგან განთავისუფლებულს ნეგრებზედ. რესპუბიკურს პარტიას კიდეც სურს მიანიჭოს იმათ პოლიტიკური უფლება; კავშირის სიძლიერე შემდგომში და იმისი წარმატება ბევრათ არის დამოკიდებული იმაზედ, თუ რა რიგად გადასწყვეტენ ამ საქმეს.

ხვედრმა იმ რიგათ მოაბრუნა საქმე, რომ ევროპის პოლიტიკის ინტერესი მჭიდროთ არის დამოკიდებული შეერთებულს შტატებზედ. შეერთებულის შტატების შინაგანის ბრძოლის დროს, იმათ მახლობლათ მეხიკის იმპერია დაარსდა. იმისი დარსება მოხდა იმ ანგარიშით, რომ დიდი ამერიკის რესპუბლიკა ვითომც უნდა დარღვეულიყო სამუდამოთ და არ უნდა შეძლებოდა იმას ერთობის აღდგინება. ეს ანგარიში გაცრუვდა. ავის მდგომარეობისაგან გამოსულმა ვაშინგტონის მმართებლობამ თავის დროზედ (*) გადმოკიდა ეს ზედ-წარწერილება მონროესი: „ამერიკის საქმეებში ევროპას ნება არა აქვს შეერიოსო“. აქამდის ვაშინგტონის მმართებლობას პირდაპირი წინააღმდეგობა მეხიკისათვის არ გამოუცხადებია, მაგრამ მდგომარეობა ფრანციისა, რომელიც შეიქნა მეხიკის საქმეში პასუხის მგებელი, ძალიან ცუდათ არის.

თუ რომ მოვისაზრებთ იმ შედეგს, რომელიც შეუძლიან ამ გვარს მდგომარეობას საზოგადო ევროპის პოლიტიკას მოუელინოს,

---

(*) მონროე ზედის-ზედ ორჯელ იყო ამორჩეული შეერთებულის შტატების პრეზიდენტათ 1817 და 1821 წლებში. იმან პირველათ წარმოსთქვა აზრი, რომ ამერიკის საპოლიტიკოს საქმეებში ევროპიელები არ უნდა გაერეოდნენო და თვისს პრეზიდენტობაში მათ არ აძლევდა ამ საქმეებში გარევის ნებას. ამ გვარს შეერთებულის შტატების პოლიტიკას მონროეს პოლიტიკას ეძახიან.

დევე უწინდელათ არ წამოგვაწვა, მკითხველო. მაგრამ მე და შენ ამ პირველშივე უნდა დავდვათ ზოგი იმისთანა პირობაები, რომელსაც ერთი ერთმანერთან შეეძლოს კავშირის გასკვნა, თორემ უამისოთ მე და შენს მეგობრობას დიდი ხანი არ ექნება. ყოველი შენი და ჩემი ნაკლულევანება სულ ერთის წყაროსაგან წარმოდინდება ხოლმე, რადგანაც ორივე. მეც და შენც ერთს არეზედ ვართ აღმოცენილი, ერთი წყალი გვისვავს ორივეს და ერთი ჰაერი გვისუნთქვავს. ამისთვის ყოველ გვარი ჩემი მწუხარება, მოუსვენებლობა და ბევრი რამ სხვა ცუდი მიზეზი უსათუოთ შენც არ უნდა მოგასვენებდეს. ორთავეს უნდა გვქონდეს ერთი გულის წუხილი და ვიყვნეთ თანამოზიარე ერთმანერთის ჭირისა. საკუთარს ნაკლულევანებას უნდა ვსდევნიდეთ ერთის ძალით, რადგანაც ის არის ორივეს სიცოცხლის გამბოროტებელი. საერთო მავნე ყოველთვის ერთის ძალით უნდა მოვიცილოთ ხოლმე. მოხდება, როდესაც კაცი თავის ნაკლულევანებას ისე შეეთვისება, რომ თითქმის ნაკლულევანებათაც აღარ მიაჩნია. მაგრამ ჩვენი მეცადინეობა იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ ამ გვარს ტანში გამჯდარს სენს დაუგდოთ ბარი და ამოვსთხაროთ ცხოვრების ჯურღმულითგან, როგორც უკეთური ღვარძლი. აი ცოტათი მე რისა მეშინინიან შენ თუ, ამგვარს ნაკლულევანებაზედ სჯა შენ ძლიერ მკვახე გეჩვენოს, მაგრამ რაც რომ მე არ დამიჯერო, ის ჩემს წვა-და-დაგვაში გათეთრებულს თმას დაუჯერე. ჩემმა ხნიერებამ იმდენი გულ-საწვავი მაგალითი მიჩვენა, რომ ყველაზედ უკეთ შემიძლიან დავაფასო, თუ რა არის კარგი და რა არის ცუდი ჩვენს მდგომარეობაში. ამისთვის, გევედრები, მკითხველო, თუ რომ მკვახეთაც მოგეჩვენოს ჩემი აზრი პირველათ, ჯერ მაინც ჩაფიქრდი და ამ რიგათ განსაჯე ხოლმე: „ჩვენი ცხოვრებისაგან ტანჯული მათუსალა ჩვენს სასარგებლოს საქმეს რისთვის გაიცხადა“?. თუ თვალი არ გადაგიცდენია, მე ზევითაც გაცნობე, რომ ჩემი გულის გამნელებელი და დადუმებულის ენის ამდგმელი გლეხების პირადათ განთავისუფლება იყო. მას აქეთ არის, რაც ჩემი სიჭაბუკის წყარო ხელახლა წარმოდინდა. ვგრძნობ, ვგრძნობ, მკითხველო, რომ ეს სიტყვები ეკალსავით გულზედ გეჩხვლიტება და იქნება ორიოდეს ქართულს ლოცვასაც მიგზავნი; მაგრამ წლოვანება ნებას არ მაძლევს, რომ შენმა დაღრეჯილებამ ჩემი გული ცოტათი მაინც ააცომცომოს. ამის მაგიერათ უფრო საჭიროთ ვრაცხ ამ აზრზედ შენთან დაწვლილებით მოვილაპარაკო. ჯერ შენ ეს მითხარი, გყოლია თუ არა მეგობარი?-დიახ, ერთის მაგიერათ ათიც გყოლია და ძათ შორის ერთი მაინც განსაკუთრებით უგულითადესი შენი მეგობარი ყოფილა. წარმოვიდგინოთ რომ ამ შენმა უგულითადესმა მეგობარმა ცოტა სიამაყე დაგიწყო. იმედი მაქვს ამ სიამაყისათვის იმას მკაცრის სიტყვებით დასჯი და თუ თავის სიამაყესაც არ მოუკლო, გულსაც იმაზედ მალე აიყრი. ეტყვი: „შენც შეგარცხვინოს ღმერთმან და შენი მეგობრობაც მაგისთანა ცხვირის აბზეკისათვის“. სწორეთ ამისთანა სიტყვებია გაამპარტავნებულის მეგობრის საკადრისი. მაგრამ ახლა ეს განვსაჯოთ: თუ რომ შენს გულითადს მეგობარს უბრალო სიამაყესაც ვერ შეაწევ და ცუდის მეზობლობისათვის საუკუნოთ აეშლები, მაშ იმ კაცმა შენზედ რაღა უნდა იფიქროს, ვინც ჩვენგნით დაჩაგრულია.... სიძულილი ერთის მეორისა ყოფილა მიზეზი, რომ ჩვენს ძველს ცხოვრებას ასე უნაყოფოთ ჩვენთვის ჩაუვლია. სიძულილი, ჯოჯოხეთის ნაირი სიძულილი და მგლური თვისება ყოფილა ჩვენის ძველათვე უბედურების მიზეზი. მგლურს კბილებს გაუცალკევებივართ და ამისგამო არა რაიმე კავშირი არა თუ ერთმანერთში, არც მრთელს მხარეებს შუა არა ყოფილა. აღრიდგან მისგან წარმოდენილმა უბედურებამ გამომაძებნინა ზემოხსენებული მიზეზი. ყოველს მწუხარების დროს ეს ნაღვლიანი სიტყვები მომვარდებოდა ხოლმე ენის წვერზედ: „რომ ჩვენში ერთს კაცს მეორის დაჩაგვრა არ შეძლებოდა, ოჰ, რა ბედნიერი და ძლიერი ვიქნებოდით, ოჰ, რა ერთსულობა გვექნებოდა!... ამას იქით თვით შენ იფიქრე, მკითხველო, რა რიგათ უნდა გავხარებულვიყავ, როდესაც მომესმებოდა, რომ ჩვენის წარსულის გამყალბებელი მიზეზი მოიკვეთება. მას შემდეგ ჩვენი სურვილიც მხოლოთ ამას უნდა შეიცავდეს, დაჩაგრულს ძმას ძველი ნაუსამართლევი გული არ ჩავარჩენინოთ და რომლის ხელითაც დაგვიჩაგრავს, იმავე ხელით ახლა იმას თვალზედ ძველი ცრემლი მოვსწმინდოთ. მკითხველსა ესთხოვ ამგვარის წრფელგული ანაბისთვის ჩემზედ გული არ აიყაროს და, თუ ვინცობაა ამ ჟამათ ეს სიმართლეარ ეჭაშნიკოს, ათს წელს შემდეგ, როდესაც ამაზედ თავის გონებით დარწმუნდება, მაშინ მაინც ვსთხოვ შენდობით მოიხსენებდეს ჩემს სულს საუკუნეში.

მაშინ არ შეგვიძლიან არ დავემყარნეთ იმაზედ, რომ იმისი შემდგომი მიმართულება უფრო დამოკიდებულია ამერიკაზედ, ვინამც იმ შემთხვევაებზედ, რომელიც მეროპაში მოხდებიან

საპოლიტიკო ცენტრალიზაცია სახმარათ არ გამოდგა იმ იმპერიისთვის, სადაც მთელის სახელმწიფოის მცხოვრებლებში თავი ხალხი მხოლოდ ერთს მეხუთედს შეადგენს და სადაც შთაომაველო ბით, ენით დაჩვეულებით სულ სხვა და სხვა ტომები არიან მარტო გარეგანის კავშირით ერთმანერთთან შეერთებულნი. ახლა იმ აზრს დაადგნენ, რომ ერთობის დასამტკიცებლათ და სახელმწიფოს შინაგანის წარმატებისათვის მიუცილებლათ უნდა მიენიჭოს კერძობითს მაზრებს და განსაკუთრებით ვენგრიას შესაფერი თვით-მართებლობა. ავსტრიის მმართებლობა დარწმუნებულია, რომ თუ იმან ეს განზრახვა აასრულა, იმისი მდგომარეობა ევროპაში და განსაკუთრებით გერმანიაში მომატებულათ სასარგებლო შეიქმნება. ჩვენ მხოლოდ იმას ახლა ეხედავთ ამ საინტერესო განკარგულებაში რომ არის და ჯერ იმის მოქმედების განსჯა არ შეგვიძლიან. თუმცა ფრანცის—იოსების მმართებლობამ ძალიან დააიმედოვნა თავის ვენგრიელნი და სლავიანელნი ქვეშევრდომნი, მაგრამ აქამდის რომ კონსტიტუცია იყო ხმარემაში იმისი გაუქმებით ნემცები ძალიან მოიმდურა.

საღერცოგეებზედ ბრძოლისაგან ძლევით გამოსული პრუსია წასრულს წელს სრულის მხიარულებით შეეგება. იმ გაცალკეების დროს, რომელიც ახლა არის ევროპის სახელმწიფოებს შუა პრუსიის პოლიტიკა ადვილათ იცილებდა იმის წინდაგებულს დაბრკოლებაებს და ამაყად წინ მიისწრაფოდა თავის განზრახვის ასასრულებლათ. ავსტრიის მმართებლობა თავის თანამოკავშირეს განზრახვით შეშინებული მეცადინეობდა ყოველის ღონის ძიებით შეეყენებინა პრუსია, რა კი საქმე იმდენზედ მივიდა, რომ უნდა მოხდენილიყო განკარგულება, თუ რა მდგომარეობა უნდა მიეღოთ საღერცოგეებს, მაგრამ ამ საქმეშიაც იმისი მეცადინეობა სრულიად ფუჭი შეიქმნა. ღაშტეინის კონვენციამ დამტკიცა, რომ პრუსიას ამსაქმეში ძბლიან გაუმარჯვენია. იმას აქეთ საშუალო გერმანიის სახელმწიფოები ძალიან უწყრებიან ავსტრიას იმაზედ, რომ ვითომც იმას უარი ეყოს თავის ისტორიულს დანიშნულებაზედ გერმანიაში. იმათი წყრომა კიდევ იმითი დამტკიცდა, რომ ზემოხსენებული გერმანიის სახელმწიფოები იტალიის საკაროლოს დაუახლოვდნენ. ავსტრია კი თავის მხრით სრულათ გრძნობდა, რომ იმისი გარეპოლიტიკის სისუსტის მიზეზი იმყოფება თავის შინაურს მდგომარეობაში და იმ პოლიტიკურს დაუწყობელობაში, რომლისაგან უკანასკნელს დროშიაც შეჭირვებული იყო. ამნაირის სენის ამოსაკვეთათ იმან მოიხმარა ყოველი ღონის ძიება. ღაშტეინის თანხმობის დაწერის შემდეგ გრაფს რეხბერგს და შმერლინგს თავიანთი მინისტრობა ბელკრედისა და მაილატისათვის უნდა გადაეცათ.

ავსტრიას მაინც ყოველს შემთხვევაში იმედი უნდა ქონდეს ამ განზრახვის აღსრულებაზედ, იმისთვის რომ მხოლოთ ამითი ერთის მხრით არ დაკარგავს გერმანიაში იმ მნიშვნელობას, რომლისთვისაც პრუსია ამას ჯიბრში უდგია და მეორეს-თავის კუთვნილს იტალიის მაზრებზედაც თავისს უფლებას უფრო დაამტკიცებს.

იტალია წარსულს წელიწადში შეუდგა იმ პირობაების აღსრულებასა, რომელსაც ავალებდა კონვენცია ფრანციასთან. მმართებლობამ გადიტანა თავისი ტახტი ტურინიდამ ფლორენციაში. რადგანაც ამ საქმის აღსრულება იმას ძვირათ დაუჯდა, ამისთვის ისიც იმედოვნეულობს, რომ მეორე მხარეც აღასრულებს იმ პირობაებს, რომელიც პირობის წერილშია გამოყვანილი. თუმცა ფრანციამ კიდეც გამოიყვანა რომიდამ თავის ჯარის ნაწილი, მაგრამ ჯერ კიდევ ძნელია კაცმა თქვას, სრულათ აღსრულდება თუ არა იტალიის მმართებლობის იმედი. ძნელი დასაჯერებელია, რომ იმპერატორმა ნაპოლეონმა მანამდის რომს თავის ჯარი მოაშოროს, ვინემდის მართლათ არ დარწმუნდება, რომ პაპის უფლება დარჩება სრულიად უვნებლათ, ამისთვის რომ უამისოთ ნაპოლეონი დაიმტერებს არამც თუ მარტო ფრანციის საკათოლიკო პარტიას, არამედ მთელის ევროპისასაც. წარსულს წელში იტალიამ თავის ქენ მიიმხრო რამდენიმე საკათოლიკო სახელმწიფოები, რომლებს შორის პირველია ისპანია, მაგრამ ამ კავშირით, რა საკვირველია, ისპანიას ძველიდგანვე იავის პატივის ცემა რომის კარისადმი არ შეუცვლია. ისპანიის კავშირი იტალიასთან უფრო იმ მიზეზით მოხდა, რომ ამ სახელმწიფოს თავის სამფლობელოებში შესაფერი ძალა არა აქვს და ამისთვის ის მეცადინეობდა რომ გარეშე სახელმწიფოების შემწეობა მაინც მოეპოვებინა.

პიო IX ს ისე კარგათ ესმის ეს ანგარიში, რომ აქამდის ყოველს გვარს მორიგებას თავს არიდებს და არც უნდა რომ რამე დაუთმოს. წარსულს წელში ძალიან თვალ-ყურს ადევნებდნენ იმისის მრჩევლებისა და ვიკტორ-ემმანუილისაგან მინდობილის კაცის ვეგეცცის მოლაპარაკებას; მაგრამ ამ მოლაპარაკებისგან არაფერი არ გამოსულა. ამ ბოლოს დროს იტალია დაადგა იმ აზრს, რომელიც ევროპაში თანდათან უფრო ვრცელდება. იტალია მიხვდა, რომ ვიდრემდის შინამდგომარეობას თავის სახელმწიფოისას რიგიანათ არ დაწყობს, მანამდის ყოველისა განზრახვის შესახები აღსრულება თავისის გარეგანის პოლიტიკისა საძნელოთ ექნება.

ახალის პარლამენტის წევრების ამორჩევის დროს საქმე ისეთ რიგათ წავიდა, რომ როდესაც პარლამენტი შეკრბა, მაშინ იტალიის საპოლიტიკო ცხოვრებაში ასეთი შემთხვევა მოხდა, რომლის გვარიც დიდი ხანია იტალიაში არ ნახულა: მთელი მინისტრობა უნდა გამოსულ იყო სამსახურიდამ, რადგანაც საფინანსო, და არა გარეგანს პოლიტიკის საქმებში დამარცხდა.

ყოველი გვარი სახელმწიფოს ცვლილება წარსულს წელში მოშორებულს ჩრდილოეთსაც შეეხო. შვეციაში შეიცვალა კონსტიტუცია, რომელიც დიდს საზღვარს სდებდა უკანასკნელს დროშდის სხვა და სხვა წოდებაებს შუა. ამ შემთხვევას შვეციისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც იმას შეუძლიან შვეცია და ნორვეგია ერთმანერთთან უფრო შეაკავშიროს. დამარცხების შემდეგ დანიამ თავისი გონება კონსტიტუციის შეცვლას მიაპყრო. ვიდრემდისაც გერმანიის სახელმწიფოებთან იმას ჩხუბი მოუხდებოდა, ეს განზრახვა მაინც გულში ედვა. დიდს ცხოველს ძალას ამ სახელმწიფოისას ამტკიცებს ის გასაკვირველი ენერგია და კეთილ-გონიერება, რომელიც იმან ამ საქმეში აღმოაჩინა. ბოლოს ესეც უნდა შევნიშნოთ, რომ იმას ჯერ კიდევ იმედი არ დაკარგვია წანართმეიის მაზრების ნაწილის დაბრუნებაზედ.

წარსულის წლის გასულში ერთს ევროპის სახელმწიფოებთაგანში მოხდა რევოლუცია. მაგრამ საეჭვოა, რომ ამ რევოლუციამ რამ შესანიშნავი ცვლილება მისცეს ევროპის მდგომარეობას. იმედია, რომ ცოტახნის განმავლობაში ისპანია ისევ უწინდელს წესიერებაში ჩასდგება, რომელიც ასე საჭიროა შინაგანის იმის ცვლილებაებისათვის.

ახლა რომ თვალი გადავაველოთ ევროპის საქმეებს, ვერ ვიტყვით, რომ ხალხების ურთიერთის დამოკიდებულებაში არ იმყოფებოდეს იმისთანა მიზეზები, რომელთაც შეუძლიანთ შეარყიონ იმის მშვიდობიანობა. მაგრამ კიდევ განვიმეორებთ, რომ მხოლოთ ერთათ ერთი საშუალებაა ამ სენის მოსასპობელათ. ეს არის ის საშუალობა, რომ სახელმწიფოს შინაგანი მდგომარეობა დამყარდეს იმ საფუძველებზედ, რომელნიც დააკმაყოფილებენ სამართლიანს ხალხის მოთხოვნილებასა და ამით განამტკიცებენ მმართებლობის ძლიერებასა. ამ გვარი მოქმედება შეასუსტებს ყოველს ნაირს გარეგანს წინააღმდეგს განზრახვასა. ამ ჭეშმარიტების სინამდვილე დამტკიცდა წარსულს წელიწადში ბელგიის მაგალითით. როდესაც კაროლის ლეოპოლდის სიკვდილი შეიტყვეს, ძალიან ეშინოდათ, რომ ამ სახელმწიფოს თავისი თვით-არსება არ დაეკარგა; მაგრამ იმისი მშვიდობიანური წარმატება მხოლოთ იმისთვის არ დარღვეულა, რომ პოლიტიკური პარტიების ერთსულობა და ამასთან ხალხის მთავრობისადმიც ერთგულობა შეიქნენ ნამდვილნი სიმაგრენი იმისის თვით-არსებობის დასაფარველათ. მშვიდობიანობა არის უმაღლესი ბედნიერება, რომელსაც ახლა ძვირათ აფასებს ევროპა, მაგრამ ბევრი იმაზედაც არის დამოკიდებული, თუ ვინ როგორ მოიხმარებს ამ მშვიდობიანობას. ვაი იმ საზოგადოებას, რომელიც ამ მშვიდობიანობაში ძილს მიენდობა და თავის თავს ალარ დაუწყებს ყურებას, რომ თავისის საპოლიტიკო და სამოქალაქო მდგომარეობის გონიერათ დაწყობით მზათ იყოს ყოველს ნაირს შემთხვევისათვის. რუსეთი არ ივიწყებს ამ ჭეშმარიტებას. ამაში ჩვენ მალე დავრწმუნდებით, როდესაც განვიხილავთ მის მოქმედებას წარსულის წლის განმავლობაში. იმას შეუძლიან სასიქადულოთ იქონიოს ის ცვლილებანი, რომელნიც მოუხდენია თავის შინა-გამგეობის ყოველს ნაწილში.

ტელეგრამმები,

ჰეტერბურგში მიღებული.

ბრუსსელი, 14 (26) თებერვალს.

Indépendance Belge ის გაზეთში, 13 (26) თებერვალს, სწერენ, ვითომც დუნაის სამთავროების გვირგვინი თავდაჰირველათ ჰრინცს ნაპოლეონს შეახლიესო, მაგრამ იმან უარი სთქვაო ამაზედ.

აუგსბურგი, 14 (26) თებერვალს. ტელეგრამმა, ბუსარესტიდამ გაგზავნილი აუგსბურგის საზოგადო გაზეთში, მოისსენებს ლეიხტემბერგის ღერცოგის ტახტზედ აყვანის პროექტს რუმინიაში და საზოგადო ევროპის კონგრესის აზრის აღდგინებას.

კოსტანტინოპოლი, 14 (26) თებერვალს. ოსმალოს მმართებლობამ მისცა ბრძანება თავის ელჩებს, რომელნიც დიდის სახელმწიფოს მმართებლობაებთან იმყოფებიან, რომ იმათ წინააღმდეგობა გამოუცხადონ ამ სახელმწიფოებს, თუ ესენი თანახმანი არ იქმნებიან ოსმალოს უფლებისა დუნაის სამთავროებზედ.

ვენა, 15 (26) თებერვალს. ვენის გაზეთებში დაბეჭდილია ბუხარესტიდამ გამოგზავნილი ტელეგრამმები 14 (26) თებერვლიდამ, რომელნიც აუწყებენ, რომ წინა დღეს კუზა უარაულებით გამოვიდაო ბუხარესტიდამ კრონშტატს (ტრანსილვანიაში), რაკი ახალს მმართებლობას გადასცაო დაწერილი განცხადება თავისის კეთილ-ნებითის უარის თქმისა სამთავროზედ. წესი არსად არ დარღვეულა. რუმინიაში საზოგადო სიხარულია.

ბარიჟი, 15 (27) თებერვალს. დღეს სჯულ-დამდების კრებაში დაიწყეს ადრესზედ ბაასი. ტიერმა თავისს სიტყვაში განაცხადა მმართებლობის შინაგანი პოლიტიკა და მოითხოვა თავისუფლება ბეჭდვისა და შეკრილობისა. ფრანციის დასაკმაყოფილებლათ ტიერმა მოითხოვა აგრეთვე, რომ მინისტრები პასუხის-მგებელნი იყვნენ სალხის წარმომადგენელთ წინაშე და სჯულის-დამდებს კრებას მიეცეს უფლება მმართებლობისაგან საქმის მდგომარეობის გამოკითხვისა.

ლონდონი, 17 თებერვალს (1 მარტს). გაზეთს Globe ს, იმისის სიტყვით, მინდობილი აქვს გამოაცხადოს, რომ Times ის გაზეთისაგან მოხსენებული ამბავი გრაფის როსსელის სამსახურიდამ გამოსვლაზედ მოგონილი არის.

ტყვილისში მიღებული ტელეგრამმები.

ვაშინგტონის დაბადების დღეს მთელს ამერიკის შტატებში იყო სალხის ურიცლობა, რომელმაც თანა-გრძნობა გამოაცხადა პრეზიდენტის პოლიტიკაზედ. პრეზიდენტმა ჯონსონმა ერთს თავისს, ვაშინგტონში თქმულს, სიტყვაში აღიარა, რომ მე მტკიცეთ დავადგებიო იმ პოლიტიკას, რომელიც წარმოვსთქვიო ჩემს წერილში ბილლისგამო დეპარტამენტზედ განთავისუფლებულის ნეგრების მფარველობისათვის და დიდათ განკიცხა მოქმედება რადიკალის პარტიის მოთავეებისა.

ჰეტერბურგი, 28 თებერვალს.

26 თებერვალს პარიჟში შეიყარა კონფერენცია დუნაის სამთავროების საქმეებზედ. Journal de St.-Petersbourg ამბობს: კონფერენციამ უნდა შეასრულოს ორი საქმე: დააბოლოვოს დუნაის კამმისიის წევრებისაგან გალაცში ხელმოწერილი აკტი, რომელიც შეეხება დუნაიაში გემების სიარულს, და ამასთანავე უნდა განსაჯოს შემთხვევანი, რომელნიც შესაძლებელია მოხდნენ ამ სამთავროებში კუზის ტახტზედ ხელის აღებისაგან.

ჰეტერბურგი, 2 მარტს.

ნუ-იორკიდამ (ამერიკაში) იწერებიან, ვითომც პრეზიდენტი ჯონსონი აპირებდეს პროკლამაციის გამოცემას, რომელიც მიანიჭებს სამხრეთს შტატებს თვითმმართველობას, რადგანაც მტკიცე მშვიდობიანობა კიდევაც დამყარდა.

სხვა და სხვა ამბავი.

სტატისტიკური ცნობები ევროპაზედ. (ბაუსნერის თხზულებიდამ). ჩვენს დროში ევროპის მცხოვრებთ რიცხვი არის თითქმის 284 მილლიონი. აქედამ უნდა გამოირიცხოს ხუთს წელიწადზედ უმცროსი ყმაწვილები, რომელნიც შეადგენენ 10 პროცენტს (ესე იგი 100-დგან ათს) და აგრეთვე ყმაწვილები 5 წლიდამ 14 წლამდე, რომელნიც შეადგენენ 46 მილლიონს და 347, 800 სულს; მთლათ ყმაწვილები არის 74 მილლიონი და 747,800 სული. მაშა სადამე 284 მილლიო-

ნის დანარჩენი იქმნება 209 მილლ. და 252,200 სული, რომელთაც შეუძლიანთ შრომა. ამრიცხვში მამაკაცები შეადგენენ 100 მილლიონს.

თავად-აზნაურობა და ჩინოვნიკობა არის თითქმის 4 მილლიონი; სამღვდელოება—742,000, ესე იგი ერთი სამღვდელო მოდის 386 სულზედ; სამხედრო წოდება მიაღწევს 4 მილლ. და 892,000 მდე. მაშასადამე, 50 სულზედ მოდის ერთი სამხედრო კაცი. საზოგადო მზრუნველობით ცხოვრობს თითქმის 13 მილლ. და 819,000 მამა-კაცი და დედა-კაცი. ვსთქვათ ამ ღარიბთ რიცხვში მამა-კაცები შეადგენენ ნახევარს, ანუ 7 მილლ. თუმცა ისინი მომატებულნიც არიან. დამნაშავენი, ყრუ-მუნჯები, ბრმები, ჭკუაზედ შეშლილნი, კრეტინები და სხვანი ამ გვარნი მიაღწევენ თითქმის 1 მილლიონამდე. ბანკირები, ვაჭრები, მედუქნეები შეადგენენ 13 მილლ. რიცხვს. შევკეცოთ ეს ციფრები და ვნახავთ, რომ სრული წლოვანი მამა-კაცები, რომელნიც თავიანთის შრომით არაფერს შემატებას არ აძლევენ ევროპას, შეადგენენ 100 მილლიონის რიცხვიდამ 30 მილლიონს. მაშა სადამე, მამრობითის სქესის პირნი, რომელთაც შრომა შეუძლიანთ, ნახევარზედ ნაკლებნი უქმათ არიან.

ანგლიაში ერთს დიდს მამულის პატრონზედ მოდის 7 ცარე მამულიანი,—მეკლენბურგში—ერთი 29-ზედ, ავსტრიაში ერთი—82-ზედ, რუსეთში 100,000 მამულის პატრონის რიცხვში არის 42,978, რომელთაც შვიდ-შვიდი სული ყვანდათ.

ფრანციაში მთელი ვალი, რომელიც მამულებს აძევს, არის 3000 მილიონს მანეთზედ მეტი, ავსტრიაში—თითქმის 1000 მილლიონი, პრუსსიაში—875 მილლიონზედ მომატებული, იტალიაში—1125 მილლიონი, რუსეთში—103,158 მამულებისაგან 10 მილლ. და 682,400 გლეხითურთ 1859 წელში დაგირავებული იყო 44,166 მამული 7 მილ. და 107,184 გლეხით. მაშა სადამე, გირაოში იყო $^2/_5$ ყველა მებატონების მამული და $^2/_3$ ყველა მებატონეების გლეხი.

მთელს ევროპაში არის მხოლოთ ოთხი მცირე სახელმწიფო, რომელთაც არც ერთი გროში ვალი არა აქვთ, ესე იგი, შვეიცარია, სერბია, ჩერნოგორია და სან-მარინო. საზოგადოთ ევროპის ვალი შეადგენს თითქმის 15 მილლიარდს (*) და 700 მილლიონს მანეთს. ასე რომ მარტო სარგებელი უნდა აძლიოს ევროპამ 594 მილლიონი და 547, 500 მანეთი. სახელმწიფო ვალი აქვთ: ანგლიას 5000 მილლიონს მანეთზედ მეტი, ფრანციას—2750 მილლიონი. ავსტრიაში და რუსეთში ამ ვალმა მიაღწია 2000 მილლიონამდე.—

მთელი შემოსავალი ევროპის სახელმწიფოებისა არის 2 მილლიარდი, 279 მილლიონი, და 467,500 მანეთი, გასავალი კი—2 მილლიარდი, 508 მილლიონი, და 737,500 მანეთი.

აქედამ სჩანს, რომ მომატებული ხარჯება 219 მილლიონი და 270,000 მანეთი. ვერც ერთს ბუჯეტს (**) ვერ ვპოულობთ უდეფიციტოთ (***). ავსტრიაში ყოველ-წლიური დეფიციტი უდრის სახელმწიფო შემოსავლის მეხუთედს, ფრანციაში—36 მილლიონს და 500,000 მანეთს, ანგლიაში—თითქმის 5 მილლიონს და 250,000 მანეთს, იტალიაში დეფიციტი შეადგენს ნახევარზედ ცოტა მეტს.

(*) მილლიარდი არის 1000 მილლიონი.

(**) ბუჯეტი ნიშნავს სახელმწიფო შემოსავალ-გასავალს.

(***) დეფიციტი ნიშნავს იმას, რაც რომ შემოსავალზედ მომატებული ხარჯება.

სალიტერატურო ნაწილი.

კეტერბურგიდამ.

გამარჯვება თქვენი, მკითხველნო, მანდილოსანნო და ქუდოსანნო! კეთილი იყოს ჩვენი გაცნობა! კარგა ხანია თქვენთან ლაპარაკი მსურს, მაგრამ ეს ვერას ფრით ვერ მოვახერხე. საკვირველათა მსურდა თქვენთან მუსაიფი, ამ მიზეზისგამო, რომ ბევრის ლაპარაკის ხალისი მაქვს, როგორც ყველა ქართველის ჩვეულება არის. სალაპარაკო მრავალი მაქვს, მრავალი რამ მაქვს გულში შეგუბებული. სად მოვილაპარაკო მეთქი მკითხველებთან, ჩემ თავსა ვკითხავდი ხოლმე: ცისკარში, თუ ბუთნის-დედაში, თუ სასულიერო მახარებელში? ავიღე, დავიღე, არა, ისევ დავჩუმდე, ისა სჯობს მეთქი; თორემ ერთ-ერთს მწერალს ვისმე ვაი თუ ადგილი წავართვა და ეს უმართებულო საქმეა. დარბაისელი მწერლები დამემდურებიან და იტყვიან: ეს ვილა მოთრეულა ახალი და მარაქაში ერევაო?—არა, მე თავს დავანებებ, ჩემთვის ვიყო, ის მირჩევნია, იმათ მარაქაში არ გაეერევი მეთქი. ვთქვი და ავაკრულე კიდეცა. მოვიცდი, ენახოთ, რა იქნება მეთქი და უეცრათ ერთი ჩემი მეგობარი მილოცავს ახალს გაზეთს—მაშ ახლა შემთხვევა არის, მოდი ერთი ვცდი მეთქი, ეგება ფეხი შევდგა ამ ახალ მწერლობის ასპარეზზედ და რაკი ერთი ფეხს მაგრა ჩავდგავ, მერე არა უშავს რა მეთქი. ჩვენმა მწერლებმა სულ ისე არ იციან? თუ დაიწყეს წერა და სამწერლო ასპარეზზედ ფეხი შედგეს, ვერას ღონისძიებით ფეხს ვეღარ მოაცილებინებთ.—მაშ ვიწყობ წერას.

ამ ხანობით ახალს გაზეთზედ მოვილაპარაკოთ.

ახლა ამ პატარახანს ჩვენს მამულის მოყვარეებს „დროებაზედ“ ექნებათ ლაპარაკი, და შენც, რა საკვირველია, ჩემო მკითხველო, ჩვენი მწერლები (ლიტერატურები) კარგა ხანს სიხარულის სიმთვრალეს მიეცემიან: ქართული ლიტერატურა (მწერლობა) ძალიან ფრთებს იშლისო, იტყვიან; თითებზედ ჩამოითვლიან: გამოდის „ცისკარი“, ეს ერთი; სასულიერო მახარებელი“—ეს ორი; „ბუთნის-დედა“ ეს სამი და გაზეთიც-მეოთხე. ჩვენი საქმე კეთდებაო! მადლობა ღმერთს, რომ იმან ისე გადმოგვხედა და თავისი უებარი მოწყალება არ დაგვაკლოო. ასე უხარიანთ მწერლებსა.

ჩვენ ქალებსაც დროების გასატარებლათ (დიახ, დროების გასატარებლათ!) გაუჩნდებათ საქმე: ახალ-ახალი ამბები ეწერებაო ქართულს გაზეთში, აბა ერთი ვნახოთ, რასა სწერენო. მაგრამ არ ვიცი სწორეთ, ჩვენი ქალები როგორ მიიღებენ ამ ახალს გაზეთსა. ამ რამდენისამე წლის წინათ „ცისკარში“ სწერდა ბიძია მოწიკე, ვითომც ქალები იმდურებიანო უგაზეთობისაგამო. ტყუილი არის თუ მართალი ესა, არ ვიცი: მე, სწორეთ მოგახსენო, ჩვენი მწერლებისა არა მწამს რა; ხან და ხან ასეთს ტყუილს მოაჭორებენ, რომ იტყვი: დედი, დედი, ამისთანა ტყუილის გუდა განა კიდევ გინახავთ სადმეო! ამისთვის მეც არა მჯერა, ვითომც ჩვენს ქალებს ძალიან სურვებოდეთ, რომ გაზეთი ჰქონოდეთ. არა თუ ძალიან, ერთიბეწოთაც არა..! მაგრამ ვთქვათ, ეს მართალია. რა მიზეზი უნდა იყოს სურვილისა? იქნება ახალ-ახალი ამბები? ეს შესაძლებელია. ჩვენს ქალებს დიდათ უყვართ ახალ-ახალი ამბები, ასე რომ ლოტოს თამაშობაში ახალის ამბებისაგამო თურმე ბევრნი აგებენო. ამისი რა მოგახსენო და ის კი ვიცი, ბუკაში რომ ქალის გათხოვების თავდარიგში არიან, მთაწმინდაში ჩხუბსა მართვენ: აგრე კი არაარისო საქმე, ასეაო. ჩვენი სოფლის ქალებიც ამ განზრახვით წაიკითხვენ გაზეთსა, რადგანაც ამ ჟამით იმ ჟამამდე სოფელში არიან შემწყვდეულნი, და არც მთისა იციან და არც ბარისა.

მივიხედოთ ჩვენის ქუდოსან-მკითხველებისაკენ, რას იტყვიან საზოგადოთ. მე დარწმუნებული ვარ, მაშინვე იმას მიატანებენ, რომ ეს ასო აკლიაო და ეს ასო მეტიაო გაზეთში ენა არ უვარგათო, ენა არ იციანო და საზოგადო მწერლობის ასპარეზზედ კი გამოდიან ახალი მწერლებიო. დაიწყებენ დაცინვას. მე დარწმუნებული ვარ, რომ აზრს სრულებით არ დახედვენ, არ გაშინჯვენ, არ დააფიქრდებიან: ამასა და ამას რომ სწერენ, რა აზრი აქვს, ჭკუასთან ახლოა, ყალბია თუ ნამდვილი? ამ აზრიდამ გამოვა რამე თუ არა? გვატყუებენ თუ მართალს გვეუბნებიან? აი ესენი რომ გაშინჯონ სხვა იქნება; თორემ ასოს მატებაზედ და დაკლებაზედ, სიტყვის უხერხოთ ხმარებაზედ ვის არ შეუძლიან ლაპარაკი. ანბანაზედ ლაპარაკი იმას მოასწავებს, რომ სხვა რაზედმე ლაპარაკი და სჯა არ შესძლებიათ. რა საკვირველია, ყველა დაგვეთანხმება, რომ ახლა კი დრო არის რიგიანათ წერა ვისწავლოთ, და მეც ისე მგონია, სვინიდისიანი კაცი თუ წერას აპირებს ენისა და წერის უცოდნელობით ვერაფერს ვერ გააირიგებს. მს იმას ეგვანება, რომ უენო მუნჯს ლაპარაკი დააწყებინო. ყურის მგდებელნიც შემოეფანტებიან და იქმნება ძვირფასი აზრებიც დარჩეს გაუგებლათ. არ შეიძლება რომ ეს „დროების“ მწერლებმა არ იცოდნენ. თუ იციან, უნდა კიდეც ვასრულონ.

მაგრამ არც შენ უნდა იყო, ჩემო მკითხველო, სასტიკი მოსამართლე. არც შენა ბრძანდები ყოველის ფრით სრული; თვითო ნაკლულევანება ყველასა გვაქვს. შენი მწერლებიც შენი წელთ-ხაშობი შვილები არიან. ამაზედ ორი ანდაზა არის: დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახეო, და მეორე: როგორიც ერიაო იმისთანა ბერიაო. თუ სუსტნი არიან ჩვენი მწერლები, ეს სისუსტე დედის მუცლიდამ გამოჰყოლიათ. დედამ რომ უსაყვედუროს შვილსა სისუსტე, სამართალი იქმნება? ყველასაგან ესაყვედურება, დედისაგან კი არა. მაგრამ ამ სიტყვებიდგან არ უნდა გამოიყვანოთ, ჩემო მკითხველებო, რომ თქვენ პირზედ ხელს გაფარებდეთ; არა, არც სამართალია დაგაჩუმოთ და არც მსურს ესა. მე მარტო იმისთვის ვამბობ, რომ შენი სისუსტეც იცოდე. სხვის ნაკლულევანებაზედ თუ ლაპარაკობ, შენსასაც არას დროს არ უნდა ივიწყებდე. სამართალი ასეა. მასუკან თუ ვისისამე ნაკლებულევანებაზედ გინდა ლაპარაკი, ასეთ სისუსტეზედ ილაპარაკე, რომ სიტყვის ხარჯვათა ღირდეს, ანაბანას კი არ გამოუდგე.—ყოველთვის შეგიძლიან ლაპარაკი. ყოველთვის საჭიროა გასაჯო, აიღო დადაიღო.

ამასთანავე ერთი რამ მაგონდება, თუმცა ეს პირდაპირ ამ სიტყვებს არ ეკუთვნის.

ერთი ცუდი ზნე სჭირთ მკითხველებს. დაიწყო მწერალმა, ვთქვათ, რისამე გარჩევა, გარკვევა, აწონ-დაწონა, ერთი სიტყვით, კრიტიკა. შეჰველათ მაშინვე აყაყანდება მკითხველი: რა საკადრისია ლანძღვაო. საქმის გარჩევას და დაფასებას ჩვენში ლანძღვას ეძახიან. ეს სწორეთ იმასა ჰგავს, რომ, ვთქვათ, სტუმრობაში რამდენიმე კაცია, რომელნიც ერთმანეთს ელაპარაკებიან. არას დროს არ შეიძლება, რომ რაზედმე ბაასი არ მოხდეს. ერთი ამბობს: ამა და ამ კალატოზმა თავისი ხელობა იცისო; მეორე ეუბნება, არაო; პირველი ამბობს, როგორ არა, იცისო; თუ არ იცოდეს, სადაურკალატოზი იქნებაო. მეორე ეუბნება: კიდეც ეგ არის, სახელია და სახრავი კი არ არისო; ამა და ამ სახლის აშენებაში ერთი კედლის აგება ვერ მოახერხა, რომ არ გადმოქცეულიყო. მოდით და თქვენ დაემდურეთ, რა გაჩხუბებთო; ეს უგუნურობა იქმნებოდა.—მწერლობაშიაც ასეა: მწერლობა (ლიტერატურა) წიგნი—ესეც ლაპარაკია ერთთან და ორთან კი არა, ბევრთან—ასთან და ათასთან. ვთქვათ ერთი მწერალი ამბობს, ესა და ეს მწერალი კარგათა სწერსო; მეორე ებაასება: იმ მელნის ფასათაც არა ღირსო, რაც იმის ნაწერზედ დახარჯულიაო; იმის ნაწერი მკითხველს არაფერს არ აგებინებს, არაფერს არ ასწავლისო; მაშასადამე უვარგისიაო; ურგებელი რამ მავნებელს უდრისო და მავნებელი რამ უნდა მოვიშოროთო.—თქვენ რომ ეზრახეთ, დუროთ, რა გალაპარაკებთო, რათ ლანძღავთ მწერალსაო, ეს გონიერული საქმე იქნებოდა? ამ ორში ერთ ერთს ბრალი მაშინ ექნებოდა და სამდურავის ღირსი მაშინ იქნებოდა, რომ თქვენი მოტყუება და შეცდენა სდომებოდა, მაგრამ საქმე ის არის, რომ თქვენ ამისთვის ემდურებით იმას, რომ ლაპარაკობს, და არა იმისთვის, რომ ის გატყუებდეთ.

მე ამ გვარათ ვიცნობ ჩვენს მკითხველებსა. მგონია სხვა აქაღარავინ არ დარჩა მოსახსენებელი; თუ დარჩნენ, ჩვენი გლეხები; მაგრამ გლეხებს არც შენი გაზეთის გამოსვლა გაუგიათ და არცა სცალიანთ იმისთვის. იმათი სანაღვლო არის მინდორი და გუთანი და კიდევ სხვა ბევრი რამ....

ამბობენ ჭირვეულობა რიგით არისო. ახლა ჩემი რიგია: მე რაღას ვიტყვი, რასა ეფიქრობ გაზეთზედ?

ჩემმა მეგობარმა რომ მომილოცა გაზეთის გამოსვლა, მერმე მკითხა შენ რას იტყვიო ამაზედ?—მე ვეუბნები; ეგ ძალიან კეთილი ამბავია, მაგრამ ბევრი ხათაბალა სჭირს მეთქი გაზეთის, თუ ჟურნალის გამოცემას. ახლა შენც თუ ყველას აგრე ხრიკი მოუგდეო, მიპასუხა იმან, ხათაბალა რას არა სჭირსო!

მეც მოუყევი და დაწვრილებით ვუამბე რაც მეგულებოდა. თქვენც აი რას მოგახსენებ, ჩემო მკითხველო: ჯერ ესა ვთქვათ, რომ ეს გაზეთი არის საპოლიტიკო გაზეთი. პოლიტიკა რა არის? პოლიტიკა გახლავს, ჩემო ბატონო, სწავლა სახელმწიფოს მოვლისა, ყურის გდებისა, ერთის სიტყვით მმართებლობისა; ამას გარდა ამ სიტყვას კიდევ ის აზრი აქვს, ერთს სახელმწიფოს მეორეს სახელმწიფოსთან რა გვარათ მიჰყავს საქმე, რა ერთობა აქვს, რა სახით ეპყრობა. ჩვენში იტყვიან ხოლმე: ეს კაცი პოლიტიკი კაციაო, ვითომც ამ კაცს ამ გვარი და ამ გვარი ყოფაქცევა აქვსო; ასე და ამ გვარათ მოეპყრობა ადამიანსაო. ერთის სახელმწიფოს ქცევას მეორესთან თითქმის ამ ნაირი აზრი აქვს: ამასაც ასე პოლიტიკას ეძახიან. ჩვენებმა იციან გაზეთი რაც არის: თითო თაბახზედ დაბეჭდილი სხვა და სხვა ქვეყნის ამბები გაზეთის ფურცელია. აი ხედავ, ჩემო მკითხველო, ყოველს სიტყვას ახსნა, განმარტება სდომებია და მეც იმიტომ გიხსნი.—

(დანარჩენი შემდგომს №)

სახაზინო განცხადებები.

1866 წ. (Закавказскій Вѣстникъ, № 9.)

1) ტფილისის სამხედრო ლოშპიტლის კანტორაში, ამ წლის 19 და 23 მარტს დანიშნული არის ტორგი, ლოშპიტლის შესაღებავათ.

2) კავკასიის სამხედრო ოკრუგის სამედიკო მმართველობა მიიწვევს, ვისაც სურს, იჯარით შემზადება ამ წლისთვის, აფთეკის მასალებისა, სზდოსი და თიხის ჭურჭლისა, ტფილისის ზაპასნის აფთეკისათვის.

3) ტფილისის გუბერნიის სასამართლოში გაისყიდება მამული, რომელიც ეკუთვნის მიცვალებულთ ტფილისის მცხოვრებლების მიიორგი და ანნა ამილახვრიშვილების მემკვიდრეებს იოსებს და ბაბრიელს ამილახვრიშვილებს. ეს მამული შეიცავს ორ-ეტაჟიანს სახლს, ყოვლს კუთვნილებით, სამოსამსახუროებით, ეზოთი და მიწით, არის დაფასებული 500 მანეთათ და იმყოფება ტფილისში, პირველის კვარტალის მეორეს ნაწილში.

4) ტფილისის გუბერნიის სასამართლოში გაისყიდება ტფილისის მოქალაქის სოლომონ დიმიტრის ძის საათოვის ობლების მამული, რომელიც არის ტფილისში, მეორე კვარტალის პირველს ნაწილში, ბარონის ჭუჩაზედ, № 258; ეს მამული შეიცავს ნახევარს ორ-ეტაჟიანის სახლისას, რომლის ნახევარიც ეკუთვნის თავადს ბაგრატიონ-მუხრანსკის.

კერძო ლობითი განცხადება.

პეტერბუგს წამსვლელი ეძებს მგზავრს ნახევარის ხარჯით. შეტყობა შეიძლება ქრევნის მეიდანზედ, კნეინა მელანია სუმბათოვის სახლში.

იქვე არის გასაქირავებელი ზემო-ეტაჟის ოთახები. ფასზედ უნდა მოილაპარაკონ სახლის პატრონთან. (1)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 11-го марта 1866 г. ს. მელიქიშვილის და კომპ. სტამბაში. რედაქტორი ბ. წერეთელი. გამომცემელი ს. მელიქიშვილი.